დამტკიცებულია გამგეობის მიერ 2014 წლის 9 სექტემბერს
შეტანილია ცვლილებები, 2017 წლის 21 ივლისს, 2018 წლის 8 ივნისს
As approved by the GIAC Board on 9 September 2014
Amended on 21 July, 2017
Amended on June 8, 2018

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის

საარბიტრაჟო საბჭოს

საქმიანობის წესი

RULES OF CONDUCT

OF THE GIAC ARBITRATION COUNCIL

2014

<u>დამტკიცებულია გამგეობის მიერ 2014 წლის 9 სექტემბერს</u>
<u>შეტანილია ცვლილებები, 2017 წლის 21 ივლისს, 2018 წლის 8 ივნისს</u>
<u>As approved by the GIAC Board on 9 September 2014</u>
<u>Amended on 21 July, 2017</u>
<u>Amended on June 8, 2018</u>

1. წესების მოქმედება	**1. Scope**
1.1. წინამდებარე წესები ვრცელდება საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის („ცენტრი“) საარბიტრაჟო საბჭოს („საარბიტრაჟო საბჭო“) წევრებზე. 1.2. საარბიტრაჟო საბჭოს ფუნქციები და მანდატი განისაზღვრება საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესდებით („წესდება“), საარბიტრაჟო წესებით და წინამდებარე წესებით. 1.3. წინამდებარე წესები ვრცელდება საარბიტრაჟო საბჭოს წევრზე იმ მომენტიდან, როდესაც ის დაიწყებს თავისი, როგორც წევრის უფლებამოსილების განხორციელებას.	1.1. These Rules shall apply to the members of the Arbitration Council of the Georgian International Arbitration Centre (hereinafter “the Arbitration Council”). 1.2. The functions and mandate of the Arbitration Council are defined under the Charter of GIAC, Arbitration Rules of GIAC and under these Rules. 1.3. These Rules shall be applicable to a member of the Arbitration Council from the moment he/she has commenced to exercise his/her authority as such.
2. საარბიტრაჟო საბჭოს წევრთა რაოდენობა, დანიშვნა და განთავისუფლება	**2. Number, appointment and removal of members of the Arbitration Council**
2.1.საარბიტრაჟო საბჭო შედგება მინიმუმ 5 წევრისგან. საარბიტრაჟო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და ორი თავმჯდომარის მოადგილე, რომელთაც ირჩევს გამგეობა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან მათი უფლებამოსილების ვადით. 2.2.საარბიტრაჟო საბჭოს შეიძლება ჰყავდეს ერთი *„ex officio”* წევრი, რომელიც უნდა იყოს დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმების დარგში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოზიციაზე მომუშავე პირი. საარბიტრაჟო საბჭოს *„ex officio“* წევრი სარგებლობს ყველა იმ უფლებამოსილებით და აქვს იგივე მოვალეობები, რაც საბჭოს სხვა წევრებს გააჩნიათ. საარბიტრაჟო საბჭოს *„ex officio“* წევრს წარადგენს გენერალური მდივანი და მას ნიშნავს ცენტრის გამგეობა. 2.3.საარბიტრაჟო საბჭოს წევრები ინიშნებიან 3 წლის ვადით (გარდა *“ex officio”* წევრისა) და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, შესაძლებელია წევრი თავიდან არჩეული იყოს დამატებითი 3 წლიანი ვადით. 2.4.საარბიტრაჟო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის გამგეობა.	2.1 The Arbitration Council consists of minimum 5 members. The Arbitration Council has a Chairperson and two deputies for the term of their authority. 2.2 The Arbitration Council can also have an ex officio member, who shall be a person holding the managerial position in a renowned international organization in the field of Alternative Dispute Resolution. The ex officio member shall have the same rights and duties as other members of the Arbitration Council. The prospective ex officio member of the Arbitration Council shall be nominated by the Secretary General and approved by the GIAC Board. 2.3 The members of the Arbitration Council shall be appointed for a 3-year term (with the exception of ex officio member) and upon expiration of this term, a member can be re-appointed for one additional 3-year term. 2.4 The composition of the Arbitration Council is confirmed by the GIAC Board. 2.5 Each member shall sign a Declaration of Acceptance and Independence.

2.5.საარბიტრაჟო საბჭოს თითოეული წევრი ხელს აწერს წევრობაზე თანხმობასა და დამოუკიდებლობის დასტურს. 2.6.საარბიტრაჟო საბჭოს წევრი უფლებამოსილია საკუთარი სურვილით გადადგეს წევრის პოსტიდან ან მას ამ პოსტიდან გაანთავისუფლებს გამგეობა. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო საბჭოს წევრთა რაოდენობა 5-ზე ნაკლები იქნება, სამდივნოს წარდგინებით, გამგეობა ნიშნავს საარბიტრაჟო საბჭოს ახალ წევრ(ებ)ს. 2.7.საარბიტრაჟო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ ცენტრის გამგეობის მორიგ სხდომამდე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც გამგეობა სხვაგვარად გადაწყვეტს. (ცვლილება დამტკიცებულია საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის გამგეობის მიერ 2018 წლის 8 ივნისს).	2.6 A member of the Arbitration Council may resign upon his/her own motion or be removed by the GIAC Board. In the event, that the number of the members of the Arbitration Council is less than 5, the GIAC Board shall appoint a new member(s) upon the nomination of the Secretariat. 2.7 The authority of a member of the Arbitration Council shall be extended beyond its term until the next GIAC Board meeting, unless the GIAC Board decides otherwise. (Amended by the GIAC Board on June 8, 2018).
3 საარბიტრაჟო საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები	**3. Qualification of members of the Arbitration Council**
3.1 საარბიტრაჟო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება და პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ან დავების გადაწყვეტის სფეროში მოღვაწეობის გამოცდილება. 3.2 ამგვარი კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერი პირი არის უფლებამოსილი იყოს წარდგენილი საარბიტრაჟო საბჭოს წევრობაზე სამდივნოს მიერ. 3.3 საარბიტრაჟო საბჭოს მომავალი წევრის კვალიფიკაციას ამოწმებს სამდივნო პირის ამ პოსტზე წარდგინებამდე.	3.1 A member of the Arbitration Council may be a citizen of Georgia or of a foreign state having higher legal education and work experience of not less than 5 years or considerable experience in the field of dispute settlement. 3.2 Any person with this qualification is eligible to be nominated by the Secretariat as a member of the Arbitration Council. 3.3 The qualification of the prospective member of the Arbitration Council shall be confirmed by the Secretariat prior his/her nomination.
4 საარბიტრაჟო საბჭოს ფუნქციები	**4. Functions of the Arbitration Council**
4.1. ცენტრის წესდების და საარბიტრაჟო წესების თანახმად, საარბიტრაჟო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები შემდეგ საკითხებზე: (ა) ცენტრის იურისდიქციის აშკარა ნაკლოვანება; (ბ) საქმეთა გაერთიანება;	4.1 Pursuant to the GIAC Charter and the Arbitration Rules thereof, the Arbitration Council has a decision making power in the following matters: (a) Manifest lack of the jurisdiction of GIAC; (b) Consolidation of cases; (c) Issue of Joinder of third Parties before the composition of the Arbitral Tribunal;

(გ) მესამე მხარეთა საქმეში ჩართვა საარბიტრაჟო ტრიბუნალის დანიშვნამდე; (დ) არბიტრების დანიშვნა და დამტკიცება; (ე) არბიტრთა აცილება; (ვ) არბიტრთა შეცვლა; (ზ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისთვის განსაზღვრული დროის გაგრძელება; (თ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალური გადახედვა და დამტკიცება; (ი) გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტების, მასში ბეჭდვითი, ტექნიკური, და სხვა მსგავსი შეცდომებისა და ხარვეზების შესწორების დადასტურება; (კ) დაჩქარებული საარბიტრაჟო პროცედურებით მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესის განხილვის გაგრძელება საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად; (ლ) გენერალური მდივნის წარდგინებით საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრთა სიაში ახალი წევრების შეყვანა. ამასთან, საარბიტრაჟო საბჭო ახალ წევრის შეყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს გამგეობის მიერ დამტკიცებული არბიტრთა სიაში შეყვანის სტანდარტითა და სიის წარმოების წესით. (ცვლილება დამტკიცებულია საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის გამგეობის მიერ 2018 წლის 8 ივნისს).	(d) Appointment and confirmation of appointment of the arbitrator(s); (e) Challenge of the arbitrator(s); (f) Replacement of the arbitrator(s); (g) Extension of the time period for rendering an Award; (h) Review and approval of the award; (i) Approval of the interpretation, correction of the clerical, computational, typographical, or similar errors contained in an award (j) Continuation of arbitral proceedings conducted according to Fast Track Arbitration Procedures by the Arbitration rules of Georgian International Arbitration Centre; (k) Admission of the new members to the GIAC arbitrators' list based on the Secretary General's referral. The Council shall take the decision on admission of the new members to the GIAC arbitrators' list based on the Board approved Standard to Admission to Arbitrators List and its Administration Rule. (Amended by the GIAC Board on June 8, 2018).
5. **საარბიტრაჟო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება**	**5. Decision making by the Arbitration Council**
5.1. საარბიტრაჟო საბჭოს გადაწყვეტილებები გამოაქვს საარბიტრაჟო საბჭოს სხდომებზე, რომელსაც იწვევს ცენტრის გენერალური მდივანი. სხდომის დღის წესრიგი წინასწარ უნდა დაეგზავნოს საარბიტრაჟო საბჭოს ყველა წევრს. საარბიტრაჟო საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი თუ მასში მონაწილეობას იღებს მინიმუმ 3 წევრი. საბჭოს წევრმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სხდომაში და გადაწყვიტოს დღის წესრიგში	5.1. The Arbitration Council makes its decisions at the Council meetings, which is called by the Secretary General of the GIAC. The agenda of the meeting shall be distributed to all the members of the Arbitration Council prior to the meeting. The Arbitration Council can adopt the decisions if at least three members are participating in the meeting. The member of the Arbitration Council may participate in the meeting and make the decisions via telephone, video

არსებული საკითხები ელექტრონული ფოსტით, ვიდეო- ან ტელე-კონფერენციის საშუალებით. თუ საბჭოს წევრი იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ამ შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს თავისი პოზიცია და/ან მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით ელექტრონული ფორმით. თუ საბჭოს სხდომაზე ხმები თანაბრად გაიყო, საარბიტრაჟო საბჭოს თავმჯდომარეს აქვს გადამწვეტი ხმა. 5.2. საარბიტრაჟო საბჭოს მხოლოდ ის წევრები მიიღებენ მონაწილეობას საარბიტრაჟო საბჭოს სხდომაში, ვინც თავისუფლად ფლობს იმ ენას, რომელზეც შედგენილია საბჭოსათვის განსახილველად გადაცემული დოკუმენტები. 5.3. გადაუდებელი საკითხების არსებობისას, საარბიტრაჟო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში, მისი ერთერთი მოადგილე, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო საბჭოს სახელით. 5.4. საარბიტრაჟო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა.	conference or e-mail. If the member of the Arbitration Council makes his/her decision by email, he/she shall submit his/her position and/or adopt decisions with respect to the issues on the agenda in electronic form. If the votes are divided equally, the Chairperson shall have the decisive vote. 5.2. Only those members of the Arbitration Council shall participate in the decision-making process, who have fluent language capabilities in the language in which the documents referred to them for consideration are composed. 5.3. In urgent cases the Chairperson or in case of his /her absence, one of the Deputies shall make a decision on the behalf of the Arbitration Council. 5.4. The decision of the Arbitration Council is final.
6. პასუხისმგებლობის გამორიცხვა	**6. Exclusion of Liability**
საარბიტრაჟო საბჭო და მისი წევრები არ არიან პასუხისმგებელნი საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობის გამო სხვა პირების წინაშე, კანონით დაშვებულ ფარგლებში.	The Arbitration Council and its members shall not be liable to any person for any act or omission in connection with the arbitration, to the extent legally permissible.
7. ინტერესთა კონფლიქტი	**7. Conflicts of Interests**
7.1. საარბიტრაჟო საბჭოს თითოეული წევრი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. 7.2. საარბიტრაჟო საბჭოს წევრი შესაძლებელია იყოს არბიტრი კონკრეტულ საქმეზე, ამასთან როდესაც საარბიტრაჟო საბჭო ცენტრის საარბიტრაჟო წესების თანახმად ნიშნავს არბიტრს, ის არ არის უფლებამოსილი დანიშნოს საბჭოს წევრი არბიტრად. ნებისმიერ შემთხვევაში, დაუშვებელია საარბიტრაჟო საბჭოს იმ წევრმა მონაწილება მიიღოს საარბიტრაჟო საბჭოს იმ	7.1 Each member of the Arbitration Council shall be independent and impartial during the decision-making process. 7.2 A member of the Arbitration Council may be an arbitrator in a certain dispute, however while making an appointment of an arbitrator(s) under the GIAC arbitration Rules, the Arbitration Council shall not appoint its member as an arbitrator. In any event, the member of the Arbitration Council shall not be allowed to participate in those meetings of the Arbitration Council during which the issues related to

სხდომაში, რომელზეც განიხილება იმ საქმესთან დაკავშირებული საკითხები, რომელთანაც მას შეიძლება ინტერესთან კონფლიქტი ჰქონდეს.	the dispute with respect to which he/she may have conflicts of interest, are discussed.
8. **კონფიდენციალურობა**	**8. Confidentiality**
საარბიტრაჟო საბჭოს სხდომები და ნებისმიერი სახის განხილვები კონფიდენციალურია და მას შეიძლება დაესწროს მხოლოდ საარბიტრაჟო საბჭოს წევრები და ცენტრის სამდივნოს შესაბამისი თანამშრომლები. პირები, რომლებიც ესწრებიან საარბიტრაჟო სხდომას არ არიან უფლებამოსილნი გაამხილონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის გახდა ცნობილი ამ სხდომაზე. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება სამისდღემშიოა.	Any Discussion and the decision-making process at the meetings of the Arbitration Council are confidential and only the Council members and relevant employees of the Secretariat may attend it. Persons attending the meeting are not allowed to disclose any information that became known to them during the meeting. The duty of confidentiality shall continue for lifetime.
9. **საარბიტრაჟო საბჭოს ანაზღაურების პირობები**	**9. Conditions of reimbursement of the Arbitration Council**
საარბიტრაჟო საბჭოს წევრების საქმიანობა შეიძლება იყოს ანაზღაურებადი. საბჭოს წევრების საქმიანობის ანაზღაურების შემთხვევაში ანაზღაურების წესს, ოდენობას და პირობებს შეიმუშავებს ცენტრის გენერალური მდივანი და ამტკიცებს გამგეობა, ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ საქმეთა მოცულობისა და საბჭოს წევრების დატვირთულობის გათვალისწინებით.	The conduct of the Arbitration Council may be reimbursed. The reimbursement conditions of the Arbitration Council shall be determined based on the caseload of the GIAC and the council members by the GIAC Secretary General and approved by the GIAC Board.”
10. **მოქმედების ვადა**	**10. Effective Date**
წინამდებარე წესები ძალაში შედის ცენტრის გამგეობის მიერ მათი დამტკიცებისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.	These Rules shall come into force upon their approval of the GIAC Board for an indefinite period of time.